

572 /  
1969 / 2

1969 ՅՅԵԸ ՈՅԵԸ ՈՅԵԸ N7

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ  
ԵՆԵՐՈՒՄԻՆԵՐԻ  
ՄԱՍԻՆ

# ԳՆԱԿ





მოთხრობები ვ. ი. ლენინზე

# ლენინი და ბავშვები

მ. ხალვაშაიძე

მ ო გ ო ნ ე ბ ა

ნახატები თენგიზ სამსონაძისა

ეს მოხდა 1919 წლის ზამთარში. ლენინის მეუღლე—ნადეჟდა კონსტანტინეს ასული ავადმყოფობდა და ექიმებმა სადმე, ქალაქგარეთ, სანატორიუმში დასვენება ურჩიეს. მაგრამ ახლომახლო ამდაგვარი არაფერი იყო. ბოლოს გადაწყდა, იგი სატყეო სკოლა სოკოლნიკში მიეწყეთ. მაშინ ამ სკოლის უფროსი ვიყავი.

ერთ დღეს საბჭოების სახალხო კომისარიატმა ტელეფონით მაცნობა — ამხანაგი ლენინი გესტუმრებათო.

დავფაცურდი, შესახვედრად მოვემზადეთ. ყველანი ვღელავდით, მე კართან ვიდექი და ვვლოდი, როდის გამოჩნდებოდა ლენინი. ბოლოს, ეზოში მანქანა შემოგრიოლდა და სადარბაზოსთან გაჩერდა.



პირველად ვიხილე ლენინი. მას ზამთრის კარაკულის საყვლოიანი პალტო ეცვა და თავზე კარაკულისავე ყურებიანი ქუდი ეხურა. ლენინი ყველას ალერსიანად მოგვესალმა და ხელი ჩამოგვართვა.

უცებ ბავშვები მოცვივდნენ, მათ ყვეფაყვეფით მოაჰყვებოდა ფინია—ბობკა, ვლადიმერ ილიას ძე ფინიასავენ დაიხარა:

— ნება მიბოძეთ, გაგიცნოთ, რა გქვიათ?

— ბობკა, ბობკა! — ერთხმად უპასუხეს ბავშვებმა.

— აჰ, ამხანაგო ბობჩინსკი! — თქვა ლენინმა და ძაღლს მიუალერსა.

ბავშვები შემოეხვივნენ ვლადიმერ ილიას ძეს. საიდანღაც თავიანთი მეორე საყვარელი ცხოველი — ფისო — მუსკაც მოიყვანეს. ვლადიმერ ილიას ძემ ძაღლი კატას მიუქსია. ბავშვები გულიანად ხარხარებდნენ, ერთი ფივილიხიელი ატყდა, ყველანი გავმხიარულდით... ვლადიმერ ილიას ძე ისეთი უბრალო და მომაჯადოებელი იყო, რომ ჩვენი განსაკუთრებული მზადება ამ დღისთვის სასაცილო და ზედმეტი აღმოჩნდა.

ნაღვედა კონსტანტინეს ასულისთვის ყველაზე საუკეთესო აივნისანი ოთახი გამოეყავით, მაგრამ ვლადიმერ ილიას ძემ მტკიცე უარი გვითხრა, — პატარა, სადა ოთახი ამო-

არჩია: ლენინს არ სურდა, ბავშვებს ოთახში შესცივლებოდა.

ბინის საკითხი რომ მოგვარდა, ლენინი შეგვეკითხა:

— როგორ მკურნალობთ ბავშვებს? რეჟიმი გავაცანი, დღის უმეტესი ნაწილი ბავშვების სუფთა ჰაერზე ყოფნას ჰქონდა დათმობილი.

ლენინმა მოიწონა ჩვენი რეჟიმი.

ბავშვებმა ვლადიმერ ილიას ძე სახელოსნოს (დასათვალისწინებლად მიიწვიეს. სახელოსნოში ისინი ნამეხისის სათამაშოებს ამზადებდნენ. უცებ ერთ-ერთი ყველაზე პატარა გოგონა ვლადიმერ ილიას ძეს ზურგზე შეესაკუბდა. ლენინმა ამ გოგონას „კოკორი“ დაარქვა.

ერთმა ბავშვმა, რომელსაც ქურქისაგან გაეკეთებინა მელია, ლენინს ჰკითხა:

— თქვენ შეგიძლიათ, ასეთი მელია გააკეთოთ?

— ძალიან ძნელი საქმეა, არ ვიცი! — უპასუხა ლენინმა.

ვლადიმერ ილიას ძე ძალზე თბილად, დიდი ხნის ნაცნობივით გამოემშვიდობა სუყველას და დაგვიბრდა, ხვალ ნაღვედა კონსტანტინეს ასულთან ერთად ისევ მოვალა.

10.971





## თაფლი

— დათუნია, აბლი-ბაბლი,  
გამომართვი ტკბილი ვაფლი!  
— შენი ვაფლი მე არ მინდა,  
ყელამდე მაქვს ჩემი თაფლი..

## ჩოკინა

ამ დილით ჩვენმა ჩოკინამ  
პირველად დაიყოყნა.  
ატროყდა სიხარულისგან:  
— ე, რა იოლი ყოფილა!



## ბოფარი

ფრთხილად, ხალხო, მანქანა!  
— პი! პი! პი!  
პი! პი! პი!  
— არ ჩავვაჯენ, ზურიკო?  
— კი! კი! კი!  
კი! კი! კი!







# ღათოს გეგმა უმოს გაცურა

ნათელა ფაილოძე

ნახატები გიორგიმ როინიშვილიმ

ბანაკი სულ ზევით, ნარინჯებში ნაფლულ კორნახეა—  
მწვანე კონცხზე.

ღათოს მოეწონა იქაურობა, აქედან ხელისგულივით  
მოიხანს ზღვა.

ღათო თბილისშიც ასე წარმოიდგენდა ზღვას, ასეც სა-  
ტაგდა: ზღვა... შორს, სიურცემი—გემი... ზევით—მომდმპარი  
ცსრათვალა მზე.

ბიჭუნამ მალე გაიცნო ბანაკის ბავშვები. განსაკუთრებით  
ოქტომბრელთა რაზმი მოეწონა,—მისი ტოლი გოგო-ბიჭები.

ოქტომბრელთა რაზმი ვარსკვლავებზედ დღეო. ღათო ვარს-  
კვლავის მეთაურად აირჩიეს.

— ჩვენ შესღვაურები ვაქნებით!—გადაწვიტეს ბიჭუნებ-  
მა: ღათომ, ბესიკმა, ირაკლიმ, ავთანდილმა, ილიკომ. ზოფე-  
ბიანი მათსურებიც იმოყეს.

— უკვე შესღვაურებს ვგაჯართ!—უსაროდათ ჰატარებს.

— შერე, გემი?!—გაიოცა ირაკლიმ.



— თვითონ გააკეთოთ.— თქვა დათომ.  
ეს იყო და, მეორე დღეს რანძმეულის  
საბჭომაც გამოაცხადა:

„ეველას! ეველას!

ვინც კი შესვლაურობაზე ოცნებობს, 27  
ივლისს თავისი ფლოტილიით რეიდზე გა-  
მოვა!

შედგება ზარადი...“

ბიჭუნებს დიდი საზრუნავი გაუჩნდათ.

დათოს თბილისში რამდენი „გემი“ და  
„სომალდი“ არ აუგია ქალაქისაგან თუ  
სის ქერქისაგან; ერთი სიტყვით, გამოცდი-  
ლი გემთმშენებელია.

დატრიალდნენ ზატარები. დათოს ვარსკე-  
ლავი ზარადზე სელცარიელი სომ არ წა-  
ვიდოდა.

ზიონერთა ბანაკის ნორჩ ტექნიკოსთა  
წრეში არჩილ მასწავლებელმა ოქტომბრე-  
ლებს გემის მოდელები აჩვენა. ზაწია ოსტა-  
ტებს საქმე გაუნაწილა. გემის მექანიზმი კი  
ზიონერებმა დაუმზადეს. და აი, ერთ დღეს  
მწვანე კონცხის ზიონერთა ბანაკის სავი-

რის სმა გორაკებს გადასწვდა. დიდი თუ  
ზატარა ქვემოთ, ზღვის სანაპიროსკენ დაე-  
შვა. ხელში ეველას გემი ეჭირა...

უკრავდა ზიონერული ორკესტრი...

ნორჩმა შესვლაურობმა მშუობრით ჩაიარეს  
და ზღვის ნაპირას შეჩერდნენ, გემები ჩამ-  
წკრივეს. მერე ვაძას მახილზე ზღვის ტალ-  
ღებში შეაცურეს. გემებმა ჯერ ქანობა დაი-  
წვეს... შემდეგ ტალღებს მიეყვნენ. მიცურავდა  
„დათოს ვარსკვლავის“ გემიც.

მორს, გედივით მოჩანდა ნამდვილი გე-  
მი... ზღვიდან მონაბერ ნიავს ნაწვევტ-ნაწვე-  
ვტად მოჭქონდა კატარღებით მოსეირნე  
ზიონერთა წკრილა სმები.


კატარღები მერე ნაპირს მოადგნენ. ახლა  
ზატარები ჩასვეს—ოქტომბრელები.

სოლიანმაისურნიანმა ბიჭუნებმა კატარღის  
კედლებს ჩასჭიდეს ხელი და თავი ნამდვილ  
მესვლაურობად წარმოიდგინეს.

ზღვა წუნარად ლივლივებდა, ტალღებზე  
იწწვოდნენ ზატარა გემები. დათოს გემი  
ეველასზე მორს გასულიყო.







# უცხოზოცუხი

ნიკოლოზ ნოსოვი

ნახატები ჯეპალ ლოლუასი

მიშა და სტასიკი ბაღში სკამზე ჩამომსხდარიყენენ და საუბრობდენენ. გგონიათ, ისე, უბრალოდ, სხვა ბიჭებივით საუბრობდენენ?—ერთმანეთს ისეთ გაუფგონარ რამე-რუმეებს უყვებოდენენ, თითქოს ეჯიბრებოდენენ, ვინ უკეთეს ტყუილს იტყვისო.

— სტასიკ, რამდენი წლისა ხარ?—შეეკითხა მიშა.

— ას ორმოცის.

— იცი, —თქვა მიშამ, —მე წინათ ძალიან დიდი ვიყავი, ძია ბორისივით. მერე ისევ დაგვატარადი.

— მე კი, —დაიწყო სტასიკმა, —ჯერ პატარა ვიყავი, მერე დიდი გავიზარდე, მერე ისევ დაგვატარადი. ახლა, სულ მალე, ისევ დიდი გავხდები.

— მე კი, დიდი რომ ვიყავი, შემეძლო მდინარე გადამეცურა... —თქვა მიშამ.

— მე ზღვის გადაცურვა შემეძლო!

— დიდი ამბავი! მე ოკეანე გადამიცურავს!

— ადრე ჩიტვით დავფრინავდი!

— აბა, ახლა გაფრინდი! —უთხრა მიშამ.

— ახლა? ახლა აღარ შემიძლია, გადავეჩვიე.

— ერთხელ, ზღვაში რომ მივცურავდი, ზვიგენი დამესხა თავს, —თქვა მიშამ, —ავილე და

ჩავცხე მუშტი. ზვიგენმა კი ცაპ! და თავი მომაკამა.

— იტყუები.

— არა, არ ვიტყუები!

— აბა, რატომ არ მოკვდი?

— რატომ უნდა მოვმკვდარიყავი? გამოვცურე ნაპირზე და შინ წავედი.



- უთავოდ?
- რაღ მინდობდა თავი?
- უთავოდ, აბა, როგორ წახვედი?
- როგორ წახვედი და, წახვედი! უთავოდ სიარული არ შეიძლება თუ რა!
- მაშინ, ახლა საიდანღა გაბოია თავი?

- შენ იქ უნდა გენახა! ერთხელ ნიანგმა გადაწყდაა.
- ტყუილების გუდა!—გაიცინა მიშამ.
- არაფერიც.
- აბა, ახლა ცოცხალი რატომა ხარ?
- გააღო პირი ნიანგმა და ისევ უკან ამო-



- მეორე ამომვიდა.
- კარგად მოვიღწე,—თქვა სტასიკმა და მოუხდა, თვითონ უკეთესი ტყუილი ეთქვა:—აბა, ეგ რა არის! აი, მე რომ აფრიკაში ვიყავი,

მაგღო. მორჩა და გათავდა! მიშა ჩაფიქრდა. მასაც უნდოდა სტასიკზე უკეთესი ტყუილი ეთქვა. იფიქრა, იფიქრა, იფიქრა და ბოლოს დაიწყო:



- ერთხელ ქუჩაში მივედიოღი. დიდი მოძრაობა იყო. ტრამვაეები, ავტომანქანები, ტროლეიბუსები...
- ვიცი, ვიცი!—წამოიძახა სტასიკმა,—ახლა შენ იმას მიყვები, ტრამვაიმ რომ გაგიტანა. ერთხელ ხომ უკვე მიაშე.
- ეგ არა, სხვა რამეს გიყვები.
- კარგი, განაგრძე!
- ჰოდა, მივედივარ ჩემთვის ქუჩაში. თურმე ჩემსკენ ავტობუსი მოდის. ვერ შევამჩნიე, დავაბიჯე ფეხი ავტობუსს და... მორჩა! დავაშოვით გავაბრტყედი.
- ხა-ხა-ხა! აი, მესმის ტყუილი!
- ეს სულაც არაა ტყუილი.
- აბა, შენ გასრესლი ავტობუსს?!
- ის ხომ სათამაშო იყო. პატარა ბიჭს

მოაყვდა თოკით. ბიჭებთან იგორი მივიდა, მათი მეზობელი, ჩამოჯდა და სტასიკისა და მიშას საუბარს დაუგდო ყური.



— ერთმანეთს ატყუებთ და არც კი გრცხვე-  
ნიათ!—შეაწყვეტინა სალუბარი ბიჭებს იგორმა.

— რისი უნდა გვგრცხვენოდეს, ჩვენ ხომ არავის  
ვატყუებთ,—თქვა სტასიკმა,—ისე ვიგონებთ,  
ვითომ ზღაპრებს ვყვებით.

— ტყუილებს კი იგონებთ, მაგრამ რა ხეირს  
გაყრით ვგ ტყუილი. მე კი გუშინ ისე მოვიტ-  
ყუე, რომ კიდევ ვიხვირე.

— როგორ იხვირე?—პკითხეს ბიჭებმა.

— ეე! აბა, თქვენ რა იცით! გუშინ სალამოს  
დღდა და მამა სადღაც წავეიდნენ. მე დასთან დამ-  
ტოვეს. ირას დაეძინა. გამოვალე ვანჯინა, გა-  
მოვიღე მურაბა და კარგად გიახედით. მეგრე ბე-  
რი ვფიქრე, როგორ მოვქცეულიყავი, რომ ჩვე-  
ნებს არ გაეგვოთ. ჰოდა, მოვიფიქრე: კოვზით  
ავიღე მურაბის წვენი და მძინარე ირას ტუ-  
ჩებზე მოვუსვი. მალე ჩვენებიც მოვიდნენ. „ვინ  
შეგჭამა მურაბა?“—მკითხა დედამ. „ირამ!“—ვუ-  
პასუხე მე. დედამ შეხედა ირას და რას ხედავს:  
ტუჩები სულ მოსვირილი აქვს მურაბით! იცოცხ-  
ლე, აუწვეს ამ დილით დოყები ირას! მე კი გა-  
დავრჩი, დედამ მურაბაც კი მაჭამა. აი, როგორ  
ვიხვირე ჩემი სიცრულით.

— ესე იგი, შენი გულისათვის სხვას მოხვდა!  
შენ კი გინარია კიდევ!—თქვა მიშამ.



— მერე შენ რა გინდა?

— მე არაფერი, მაგრამ შენ იცი, რა ყოფილ-  
ხარ? მოიცა, როგორ არი... ჰო, —ცრუშენტიდა.

— თქვენ ხართ ცრუშენტიდები.

— არ გვიინდა შენთან ყოფნა. წადი აქედან!

— თქვენ გგონიათ, მე კი მინდა!

იგორი ადგა და წავიდა. მიშამ სტასიკს ხელი  
გადაჰხვია და ისინიც შინისაკენ წავიდნენ. გზა-  
ში-სანაყინესთან შეჩერდნენ, ჯიბეები მოიქექეს  
და ფული დაითვადეს. მხოლოდ ერთი ნაყინისა-  
თვის კმაროდა.

— არა უშავს, ვიყიდოთ და უშაზე გავი-  
ყოთ!—თქვა სტასიკმა.

ბიჭებმა ფული გადაიხადეს და მენაყინე ქრეც  
ქალადში შეხვეული ნაყინი მიაწოდა მეგობრებს.

— მოდი, შინ წავივლოთ და დანით გავჭრათ;  
უფრო თანასწორად გაიყოფა!—თქვა მიშამ.

— წავივლოთ!

კიბებზე ირა შემოხვდათ, ტირილისაგან თვა-  
ლები დასწითლებოდა.

— რად იტირე?—შეეკითხა მიშამ.



- დედამ სასერინოდ არ გამიშვა!
- რატომ?
- იმიტომ, რომ მურაბა მოიპარეო. მე არ მომიპარავს; მურაბა იგორმა შეჭამა და მერე მე დამაბრალა.
- ჰო, ვიცით, იგორმა შეჭამა. თავისი პირით თქვა... მერე რალა გატირებს. გინდა, ნაყინი გაჭამოთ! წამოდი, ჩემ წილს მოგცემ!— უთხრა მიშამ.
- მეც მოგცემ ჩემ წილს! აი, მხლდოდ ერთხელ გავსინჯავ, და მოგცემ!— დაჰპირდა სტასიკი.
- ისინი ოთახში შევიდნენ და ნაყინი გაინაწილეს.
- კარგი ნაყინია!— თქვა მიშამ,— მე ძალიან მიყვარს ნაყინი, ერთხელ მთელი კასრი ნაყინი შევჭამე.
- ოჰ, როგორ იტყუები!— გაიცინა ირამ,— მაგას ვინ დაგიჯერებს!
- როგორ თუ ვინ დაიჯერებს!— ის კასრი ხომ პატარა იყო, ტიქისოდენა.

თარგმნი ნიკა ხაგალნიძემ

ნაიკა ნიჰარაძე

## კაკა და კნუში

კატას ფართიფურთით  
დააქვს მტვერსასრუტი,  
აბაზანას კუდით  
აპრიალებს კნუტი.



## კოსმონავი

— კოსმონავტი მომყავს!—  
დაიძახა ილამ,  
და თოჯინას თავზე  
ჩამოაცვა ქილა.

ნახატები პაპი თევზაძისა



# სსსსსსსსსს

ნახატები ზურაბ მემამარიანიშვილისა



## თინათინ ჯაპანიშვილი

— მე დედიკო მჭევია?—ჰკითხა  
მაკამ დედას.  
— არა, შენ მაკა გჭევია.  
— მაშ, რატომ მეუბნები, კამე  
დედიკოო...



ბებიაშ სახელდახელოდ მზიას მა-  
მის ფეხსაცმელში წაჰყო ფეხი.  
— დედიკო, დედიკო, ახლა ბებია  
მაძაა!—აუვირდა მზია.



## ლევან ჩანგლაძე

მამა კახას კითხვის წესებს უხსნი-  
და:

— სადაც წერტილია, უნდა შეი-  
სვენო. ორ წერტილზე—ცოტა უფ-  
რო მეტად უნდა შესვენო...

— მამიკო, — შეაწყვეტინა კახამ, —  
სამ წერტილზე მოვასწრებ ეზოში  
ჩასვლა-ამოსვლას?..



# შოო პაპას მარანი

ნახტი ზურაბ მამუკაიშვილისა



შოო პაპა ასი წლის კაცია. აქვს თეთრი, თოვლივით თეთრი წვერი; ჰყავს ათი შვილი და სამჯერ ათი შვილი-შვილი.

მთელს სოფელში განთქმულია მისი მარანი.

ქვიტკირის მარანში მხარეთმცოდნე წამოწოლილა ხის ორი საწნახელი. ქვევრები წლიდან-წლამდე სავსეა თეთრი და წითელი ღვინით.

შოო პაპას ძალიან უყვარს ბავშვები. იცის ყველაფრის სახელი, ბუზის შვილს რა ჰქვია, ისიც კი. ზღაპრები

ხომ იცის და იცის: არც მარანში გამოვლევა ღვინო და არც გულდაში ზღაპარი.

ჩაჯდება ხოლმე თავის შვილიშვილებში და ჰყვება და ჰყვება მთისას და ბარისას.

ჩვენო პატარა მკითხველებო, ურუნალის ამ ნომრიდან თქვენც შეგეძლებათ მოისმინოთ შოო პაპას უხვი და ლამაზი ქართული.

ამიერიდან თქვენთვისაც მუდამ ღია იქნება შოო პაპას მარნის კარი.

## ღორბა შვილები შობა

გიორგი კაკუხვილი

ნახტები ელ. აგბოქაძისა



შოო პაპა კაკლის ჩრდილში იჯდა და ცუ-ცის ტარს თლიდა, უცბად ეზომი ბავშვები შემოცვივდნენ ურიაბულით.




— შიო პაპა, ძია რაქდენის ღორმა შეი-  
ლები შობა, — თქვა გურამმა.  
— კი არ შობა, გაჩინა, — შეუსწორა თე-  
მურმა.  
— არა, ბიკო, — იცინოდა გა, — მოიგო.  
— სულ ერთი არ არის?! — ერთმანეთს  
გკამათებოდნენ ბიჭები.



— მოდით აქ, შეილო. — უთხრა პაპამ  
თავის შეილიშვილებს და ეზოში დაგდებულ  
მორზე მიუთითა, — აქ ჩამოსხედით.  
ბავშვები მორზე ჩამოსხდნენ.  
— ღორმა შეილები არც შობა და არც

გია, — თუკი ივანე პაპას ძროხამ ხბო მოიგო?  
— სწორია. ძროხა უთუოდ მოიგებდა.  
თანაც ხბოს მოიგებდა და არა გოქს ძროხა  
ხბოს იგებს, ცხვარი — ბატკანს, თხა — თიკანს,




გაჩინა, ღორმა გოჭები დაყარა. ღორზეც,  
ძალზეც, მგელზეც, კატაზეც იტყვიან — და-  
ყარაო. გაჩინა კი არა, დაყარაო! გაიგეთ?  
თანაც შეილები კი არა, მათ სხვა სახელი  
ჰქვიათ: ღორი გოჭებსა ჰყრის, ძალი და  
მგელი — ლეკვებს, კატა — კნუტებს. ყველას  
თავისი სახელი აქვს. შეილები თქვენ ხართ.  
ღორის შეილებს გოჭებს ვეძახით.  
— დაყარა თუ მოიგო, პაპავ? — შეეკითხა

ირემი და შველი — ნუკრს, ცხენი — კვიცს,  
აქლემი — კოზაკს, ვირი...  
— ვიცით, ვიცით, — ჩოკინას! — წამოიძა-  
ხა ყველამ ერთად.  
შიო პაპას გაეცინა: — ასეა, შეილებო.  
ყველაფერს თავისი სახელი აქვს.  
— არა სჯობია, ყველას შეილი ერქვას?  
უფრო ადვილად დავიმახსოვრებდით.  
— აქეთ მომხედე, — ცულის ტარი გაიშვი-  
რა პაპამ მერაბისაკენ. შენ რა გქვია?  
— მერაბი.  
— იმას? — ახლა თემურისაკენ გაიშვირა  
პაპამ ცულის ტარი.

— ერთმანეთს რომ ველარ გავარჩევდით,  
თუ ყველას პაპა გვერქმეოდა, შვილიშვილი  
ვილას უნდა რქმეოდა?



— თემური.  
— აჯერ, იმას?  
— გია.  
— მე რა მქვია?  
— შიო პაპა.  
— მერე და, რად გვინდა, რომ სხვადასხვა  
სახელი გვქვია? უკეთესი არაა, ყველას მე-



ბიჭებმა ერთმანეთს შესცინეს.  
— წადით და იცოდეთ: ღორმა შვილები  
კი არ შობა, ღორმა გოჭები დაყარა. ასე ამ-  
ბობდა პაპაჩემი, იმის პაპაც, და იმისი პაპის



რაბი გვერქვას, ან — თემური, ან — გია?  
— ყველას რომ შიო პაპა ერქვას, ის აჯო-  
ბებდა, — წამოიძახა გიამ.



პაპაც. ასე უნდა ვილაპარაკოთ.  
ბიჭები მხიარულად გაცვივდნენ ეზოდან  
და მას შემდეგ კარგად იციან, რომ ღორმა  
გოჭები დაყარა.







## თოჯინების თეატრში

შეიკრება სცენაზე  
ცხოველების ჯარი,  
სერთ გაბიჯონ, ვეველასზე  
ძლიერი ვინ არი.

ზრდილად, ამხანაგურად,  
წამოიწყო თავუნამ:  
— სულ არ ვარ ენამზე,  
როდი ვამბობ ახალს,  
უძლეველი ვეველასზე  
ფისუნია განსლავთ!

მაგრამ ფისო-ფისუნამ  
მოსმენაც არ ისურვა.  
— აღარც მე ვარ ენამზე,  
არც მე გეტყვით ახალს,  
უძლეველი ვეველასზე  
მურიკელა განსლავთ.

მურიამ თქვა:  
— გავიგოთ,  
სულ არ არის ძნელი,

ჩემი აზრით, ვეველასზე  
ძლიერია პეკელი!

პეკელმა სიტყვის სათქმელად  
აიწია თათი:

— უძლეველი ვეველასზე  
არის ძია დათვი.

ადუღდუნდა დათუნა:

— ასეთი რამ სად თქმულა!

ვეველამ იცით, ვეველასთვის  
ვარ სიკეთის მდომი,  
მაგრამ ნუ გააწვივდებით,  
ქვეყნად არის ღომი!

იქვე ახლოს სიცილით  
იჭაჭება ძელიან:

— სულელები! მესუდეოთ,  
საქმე შემოელიანთ!

ვისაც ვისი შიში აქვს,  
აღბათ გამოიცანით: —  
მისთვის ქვეყნად ვეველასზე  
ღონიერი ის არი.

# როგორ დაიჭირა გოჩამ გზე

ნახატი ზურაბ ჯაპანაძისა

## მოთა ასანიშვილი

გოჩა ოთახში ფარდაზე მოკალათებულ-  
ლიყო და ფერადი კუბებით სახლებს აშე-  
ნებდა. უცებ შენიშნა: კარის ჭუსტრუტანი-  
დან მზის სხივი შემომძვრალიყო, საწოლზე  
დასკუბებულიყო და ოქროსფრად იცინოდა.

გოჩა საწოლთან მივიდა და ხელი ფრთხილ-  
ლად დააფარა ათინათს. ათინათი ხელის-  
გულიდან გამოძვრა და ხელის ზურგზე  
მოიკალათა. გოჩამ ხელს მეორე ხელი დაა-  
ფარა, მაგრამ ათინათი ახლა მეორე ხელის  
ზურგზე მოექცა.

გოჩამ სათამაშოებში პატარა რკინის ჯამი  
მონახა, იმითი უნდოდა მზის დაჭერა, მაგრამ  
მზის სხივი ჯამიდანაც გამოძვრა, ზემოდან  
მოექცა ჯამს.

გულმოსულმა გოჩამ ჯამი იატაკზე დააგ-  
ლო და ტირილი მორთო.

ოთახში გოჩას უფროსი და—ლეილა შე-  
მოვიდა:

- რატომ ტირი, გოჩა?
- ვერ დავიჭირეეეე...
- რა ვერ დაიჭირე?
- მზეეეე...
- რას ამბობ, რომელი მზე?
- ავერ, საწოლზე რომ არის.

საწოლზე ათინათი გამომწვევად იცინოდა.

ლეილას გაეცინა, გოჩას თავზე ხელი  
გადაუსვა და დაამშვიდა:

— ნუ ტირი, ახლავე დავიჭერთ,—უთხრა  
და მეორე ოთახში გავიდა.

ლეილა სულ მალე დაბრუნდა, ხელში  
პატარა სარკე ეჭირა. იგი საწოლთან მივი-  
და, სარკე ისე დაიჭირა, რომ ათინათი ზედ  
დასცემოდა. სხივი უმაღლვე ანტა და ოთახის  
ჭერს შეაფრინდა.

ლეილამ სარკე წინ გადმოხარა,—სხივი  
ჭერიდან კედელზე ჩამოცოცდა.

ლეილამ სარკე შეათამაშა,—სხივი აცეკვ-  
და.

ლეილამ სარკე გოჩასკენ შემობარუნა,—  
სხივი ჯერ მკერდზე დააჯდა გოჩას, მერე  
სახეზე შეაცოცდა და თვალი მოსჭრა.

— რა კარგი ყოფილა,—წამოიძახა გო-  
ჩამ,—მომეცი, ახლა მე დავიჭერ მზეს!





# ეიზეიზა ო ეიოზა



### აზზარ კვიგიანილი

ორი ბარტყი ჰეაზდა ღაჟოს,  
ჟიჟიჟი და ჟიოტა.  
ჟიჟიჟი სულ ჟიჟიჟებდა,  
ჟიოტას სულ შიოდა.

ერთსელ, როცა დედა-ჩიტი  
სანადიროდ წავიდა,  
ჰრელი კატა ჩამოცოცდა  
სახლის სასურავიდან.


მიეზარა საწუალ ბარტყებს  
და კლანჭს როცა ჰიდებდა,  
თვალი მოჰკრეს მსუნაც ფისოს  
მესობელმა ჩიტებმა.

### ნახატი თამაზ ხუციშვილი

დასჰეიველეს და მოძალადეს  
თავში ჩაუნისკარტეს,  
მთი წერა კანდებოდა,  
რომ აზ ესნა სისსარტეს.

იმ დღის შერე ჩიტის ბუღეს  
გეგრდით როგორ ჩაუვლის,  
იცის ფისომ,  
კარგად იცის  
თავის დანაშაული...

იზრდებოდა ორი ბარტყი —  
ჟიჟიჟი და ჟიოტა;  
ჟიჟიჟი სულ ჟიჟიჟებდა,  
ჟიოტას სულ შიოდა.



ქართული  
ენობრივი

# ბუკჩინი

ქვეყნები



**ბებერი და ქათამი**

იყო ერთი ბებერი. ჰყავდა ერთი ქათამი. უოველ დღეს თითო კვერცხს უღებდა. მაგრამ ბებერი ცოტაობდა. იმას უნდოდა ქათამს დღეში ორი-სამი კვერცხი დაეღო. ეგონა მომეტებული საქმელი უფრო ბევრს დაადებინებო. დაუწყო ბებერი საკენკის ძლევა. მაგრამ ქათამი მეტად გასუქდა და ერთი კვერცხიც აღარ დაუღო.

ანდაზა: ბებრის მღოში ცოტასაც დამკარგავსო.

ი. გოგებაშვილის „ღელა ენიდან“

## ენის გავსატყუნი

ბაყაყი მყაყე ჭაობში ბაცბაყებს ბაცბაყ დევივით


### ნიკორა

ლილა პარამ


იყო და არა იყო რა,  
იყო თანყნებ ნიკორა.

ტყეში გაუქცა დედიკოს,  
შესწდა მუნძულა მკელი და  
მარჯუვდ მოიგდო თათებში,  
ვეღარ დაუსწლტა სელიდან...

სადღან ჩვენი ნიკორა,  
იყო და არა იყო რა...










# ღინი

გიორგი შვინაძე

გაღმა უბანში ღინინია,  
უკრავენ დოღს და გარმონს,  
აქ, ჩვენს ეზოში, ცერებზე  
ცეკვავს პატარა ვანო.



შეადგინა რუსთაის საშუალო სკოლის მე-5 კლასის  
მოსწავლემ ვალერი მიმინოშვილმა.



# ჩეჭყი




შოგარი რედატორი შუხრან შხაპარიანი.

სარედქციო კოლეგია: კუპური გოგონაგინი, ლეილა ერაძე, ჯიმაღ ლოღა, გავაღა გავაღაგინი, ჯიმაღ ნინა,  
ირიან მემირამღი (მ/მგ, მღიანი), შაღა ცხაღამი (სამხატვრო რედატორი), გინი მღიამღ.

საქ. აღკ. ცენტრალური კომიტეტის და ვ. ა. ი. ნინის სახეღობის ნორკ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბღიკური საბჭოს ყურნაღი.  
ულაზე სახატი ზარბა შორხინისა გამოცემის 42-ე წეღი. ტერედატორი გ. გინიგინი  
რედატორის მისამართი: ლენინის ქ. № 14. ტეღეფონები: 93-41-30, 93-94-73. | რედქციამღ შემოსული მასაღები ავტორებს არ დაღბრუნღებაღ.

გაღღეცა ასაწეობაღ 16/IV-69 წ. ხეღმწეერიღი დასაბუღდაღ 10/VII-69 წ. ქაღაღის ზომა 60x90/8. ფიხეური ნაბჭეღი ფერეღი 2,5.  
შეც. № 1214 ტირაეი 121.600. საქ. კ. ც. -ის გამოცეღობის სტამბა, თბიღისი, ლენინის ქ. № 14. ფსაი 20 კაღ.  
«ღიღა» № 7 ნა გრუიგინოღმ ჯაზე. ტიპოგრაფია იღ-ვა ცკ კღ გრუიგინი, უღ. ლენინი, 14.  
საქ. კ. ც. -ის გამოცეღლობა | იღდაღეღსთო ცკ კღ გრუიგინი

ბ 96/137  
76055



თეთმფრინავები—ნახტი თამაზ ვერულაშვილი, 6 წლის, ზესტაფონი.  
 მინდვრის ყვავილი—ნახტი ნინო მეტრეველი, 5 წლის, თბილისი.  
 ბატები ტბაში—ნახტი თეიმურაზ მამაცაშვილი, 6 წლის, თბილისი.  
 გოგონა—ნახტი შაკა ბოკერიახი, 5 წლის, თბილისი.

მერანე—ნახტი მალხაზ მონიაცხი, 7 წლის, თბილისი.  
 ხეები—ნახტი კობა კოჟლაძისა, 6 წლის, ბათუმი.